

სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი

გამოდის 1957 წლიდან

№3 (271) მარტი, 2014 წ. www.tsmu.edu

გაზეთი



კვირფასო ქალბატონებო!
გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, დედის დღესა და 8 მარტს!
იყავით გაზაფხულივით სიცოცხლით სავსენი, ლამაზები და ხალისიანები!



საერთაშორისო გამოფენაზე „ექსპო-ჯორჯიაში“

თსსუ – საუკეთესო არჩევანი



საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ მოეწყო განათლების საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქვეყნის ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი, ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტები და გაცვლითი პროგრამები.

დამთვალიერებელი დიდი ინტერესით გაეცნო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტენდს, ამ მოვლენისადმი მიძღვნილ „სა-

მედიცინო გაზეთის“ სპეციალურ ნომერს, ასევე, კლიპს, სადაც წარმოდგენილი იყო უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამასთან, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ მულაჟებთან მუშაობის წესს, „გაესინჯათ პაციენტი“ – მოესმინათ მისი გულისცემა ან შეემონმებინათ თვალის ფსკერი და ა.შ.

მომავალ სტუდენტებს შეხვდნენ: სამედიცინო უნივერ-

სიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი



კახა ჭელიძე, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ფაკულტეტების დეკანები, პროფესორები: თინათინ ჩიქოვანი, ბიძინა ზურაშვილი, სამსონ მღებრიშვილი, ლელა მასხულია. დამსწრე საზოგადოებას ნათელი

წარმოდგენა შეექმნა იმის თაობაზე, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დანერგილი გამოცდილი და წარმატებით აპრობირებული სწავლების სისტემა საშუალებას იძლევა, მომავალმა ექიმებმა საფუძვლიანად შეიძინონ თანამედროვე სამედიცინო განათლება და ექიმისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.



1 მარტს თსსუ-ში ღია კარის დღეზე შეკრებილი აბიტურიენტების და მშობლების სიმრავლემ ცხადყო, რომ ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი კიდევ უფრო მეტია, ვიდრე შარშან. შესაბამისად, ღია კარის დღე ერთის ნაცვლად ორ დარბაზში ჩატარდა.

აბიტურიენტებს შეხვდნენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე რექტორები: კახაბერ ჭელიძე, რიმა ბერიაშვილი, გიორგი აბესაძე; მედიცინის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სტომატოლოგიისა და ფარმაციათა ფაკულტეტების დეკანები, თსსუ-ის ადმინისტრაციის წევრები, ეროვნული საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია მომავალ სტუდენტებს ესაუბრა სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერსპექტივებზე. აღინიშნა, რომ თსსუ-ში ყველა პირობაა შექმნილი მომავალი ექიმების პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის. აბიტურიენტ-

„ღია კარის“ დღეზე

ები განსაკუთრებით დაინტერესდნენ დიპლომირებულ მედიკოსებს, რომლებიც მათ ზუსტი წარმოდგენა შეუქმნა სამედიცინო უნივერსიტეტსა და პროფესიული არჩევანის სისწორეზე. არჩევანი კი, როგორც ერთმა აბიტურიენტმა აღნიშნა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იმან, რომ ყველა მაღალკვალიფიციური და სახელოვანი ექიმი, ვისზეც კი სმენია და

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. აბიტურ-

ები განსაკუთრებით დაინტერესდნენ დიპლომირებულ მედიკოსებს, რომლებიც მათ ზუსტი წარმოდგენა შეუქმნა სამედიცინო უნივერსიტეტსა და პროფესიული არჩევანის სისწორეზე. არჩევანი კი, როგორც ერთმა აბიტურიენტმა აღნიშნა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იმან, რომ ყველა მაღალკვალიფიციური და სახელოვანი ექიმი, ვისზეც კი სმენია და

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. აბიტური-



ული მედიკოსის ამერიკული პროგრამით, ასევე, ქართულ-ფრანგული პროგრამით.

რეინტებმა ამომწურავი პასუხები მოისმინეს მათთვის საინტერესო საკითხებზე, რამაც

ცხოვრებაში შეხვედრია, სწორედ თსსუ-ის კურსდამთავრებულია.

ცოცხა, ახარება, კომპლექსი...

ფუნდამენტური მისწრაფებების კვლევა – თანამედროვე გამოწვევებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, განხორციელდა პროექტი – „ზამთრის სკოლა ფიზიკაში“, თემაზე – „სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის ფიზიკური პრინციპები“.

პროფესორ-მასწავლებლებს. დღევანდელ ტრანსლაციურ პერიოდში მედიცინის ყველაზე მეტად სჭირდება ფუნდამენტური მეცნიერებების კვლევა და გამოცდილება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, მომავალი 50 წელი სამედიცინო ტექნოლოგიების დახვეწას, პროფესიულ, ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებას დაეთმობა. კონფერენციის მსვლელობისას

ინვესტორ-მსოფლიო დონის სპეციალისტები, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს საინტერესო კვლევები, სამედიცინო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები და მათი გამოყენების პერსპექტივები. ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დავით ნადარეიშვილმა აღნიშნა:

– საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ისეთი პროექტის ფორმირება, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტმა განახორციელა. სამედიცინო ვიზუალიზაცია დაგნოსტიკისთვის უმთავრესი საფუნდამენტური ტექნოლოგიების დახვეწა, მათი შესწავლა და უსაფრ-

თვლოში ნორმის ფარგლებშია. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს – რადიოგენური კონცენტრაციული რისკი მცირე დოზითა და პაზონში, თანამედროვე წარმოდგენებით, დამოკიდებულია არა იმდენად დასხვიების დოზაზე, რამდენადაც პოპულაციის რადიომგრძობელობაზე. რადიოგენური კონცენტრაციული რისკების შეფასების პოპულაცია, სპეციფიური მეთოდების შემუშავება, მათი მართვის ახალი მიდგომების დამუშავება ამჟამად მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს, რადგან რადიაციული უსაფრთხოება თანამედროვე, კონკრეტული ქვეყნის თავისებურებებზე ორიენტირებული სისტემების მეთოდოლოგიურ ბაზისად მოიაზრება და რადიაციული უსაფრთხოების ახალი საერთაშორისო სტანდარტებით მოითხოვება. ამ მიმართებით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, საქართველოს სპეციფიკასთან მათი ადაპტირება და დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინ-

ებმა ნაიკითხეს ლექციები ბირთვულ მედიცინაში რადიოფარმაცევტული პრეპარატების გამოყენების, დოზიმეტრიის, რენტგენოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, ხანოვანი ამაჩქარებლებით მკურნალობის მეთოდების, მაგნიტური სადიაგნოსტიკო მეთოდების (ბირთვული მაგნიტური რეზონანსი (ბმრ), ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი (ეპრ) ფიზიკური საფუძვლების, მათი ბიოლოგია და მედიცინაში გამოყენების, რადიოთერაპიისთვის ამ მეთოდებით სიმსივნის ოქსიგენაციასთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობის, სამედიცინო დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია და რადიაციული კონცენტრაციების ბიოლოგიური ეფექტებისა და რისკების, რადიაციული კონცენტრაციების და რადიაციული დაცვის სისტემების შესახებ. ლექციებზე განხილული იყო ულტრაბერითი დიაგნოსტიკის, მედიცინაში სპექტრო-ფორმული მეთოდების, კარდიოგრაფიის, ბიოლოგიურ სითხეებსა და ქსოვილებში სხვადასხვა იონთა (H⁺, Na⁺, Cl⁻, K⁺) აქტივობის, ფანგაბადისა და ნახშირორჟანგის პარციალური წნევის გაზომვის ელექტროქიმიური მეთოდების, სისხლის ნაკადის მოცულობითი სიჩქარის განსაზღვრის, წყალბადის კლირენსის მეთოდის ფიზიკური საფუძვლები.

ზამთრის სკოლის ფარგლებში, სტუდენტებმა დაათვალიერეს თსსუ-ის ეპრ ლაბორატორია, ი. ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო ლაბორატორიები, იმყოფებოდნენ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში (აკადემიკოს ფ. თოდუას კლინიკაში), სადაც დაათვალიერეს თანამედროვე სამედიცინო-დიაგნოსტიკური აპარატურა.

უცხოელმა პროფესორებმა – ნიკოლას პალიკარაკისმა, დარელ ფიშერმა, მარტინა ელასმა გამოხატეს კმაყოფილება თსსუ-ში ჩატარებული ამ მეტად მნიშვნელოვან ლექცია-სემინარებში მონაწილეობით. აღნიშნეს, რომ ამ ღონისძიებას არა მარტო სტუდენტებისთვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ქვეყნისთვისაც, რადგან უაღრესად პრობლემურია და სამომავლო საქმეს ეხება. პროფესორებმა აღნიშნეს ქართველი სტუდენტების დიდი ინტერესი ამ საკითხებისადმი და მათი მალევე აკადემიური მომზადების შესახებ.

ჩვენთან საუბრისას პროფესორმა მარტინა ელასმა განაცხადა: – მსტუდენტებმა დამისცეს ძალიან ბევრი კითხვა, რაც მოწმობს მათ დიდ დაინტერესებას და მონოგრაფიული უახლესი კვლევების შესახებ ინფორმაციის ათვისების მცდელობას. როდესაც კრაიკოვში დაებრუნდები, აუცილებლად მოუყვები ჩემს სტუდენტებს ქართველი მსმენელების შესახებ.

პროფესორი დარელ ფიშერი: – ერთი კვირის განმავლობაში ვატარებდი ლექციებს საქართველოს აკადემიური მედიცინის ცენტრში და თბილისის მხედრის სამედიცინო უნივერსიტეტში. სამედიცინო პროფილის 75-ზე მეტი სტუდენტი გამოხატავს თავიანთ ქვეყანაში სამედიცინო სფეროს განვითარების მტკიცე რწმენას. შთაბეჭდილებები მომავალი თაობა. საქართველოს უნივერსიტეტების მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტები გამოხატავენ დიდ ინტერესს კარდიოლოგიის, ნევროლოგიის, რადიოლოგიის და სპორტული მედიცინის მიმართ. ამასთან, ვიტყვი, რომ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიცია ქალის პაციენტისცემა და კარგია, რომ ახალგაზრდა ქართველი მანდილოსნები აფასებენ განათლების მნიშვნელობას. ცნობილია ქართველი ხალხის გულუხვი სტუმართმოყვარეობა და პატივისცემა სტუმრების მიმართ. მათ უყვართ თავისუფლება და პერსპექტივები. მე მივიღე უდიდესი პირადი გამოცდილება.

კონფერენციის დასასრულს, მონაწილე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

მომზადეს დარეჯან კომლაძემ და მანანა ფხალაძემ



პროექტში მონაწილეობდნენ – თსსუ-ის სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თამარ სანიკიძე, დეპარტამენტის მონვეული პედაგოგები – რამინ ანთია, პროფესორი დავით ნადარეიშვილი – ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი, გიორგი ორმოცაძე – ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელი, ვახტანგ ცერცვაძე – თოდუას კლინიკის სადიაგნოსტიკო-კვლევითი ცენტრის სამედიცინო ფიზიკის, სალომე კიპარიძე, ასევე, უცხოეთიდან მონაწილე სპეციალისტები: პროფესორი ნიკოლას პალიკარაკისი – პატრას უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი (საბერძნეთი), პროფესორი დარელ ფიშერი – ჯანმრთელობის უსაფრთხოების ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი (აშშ), პროფესორი მარტინა ელასი – კრაიკოვის იაგლონის უნივერსიტეტის ბიოფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი (პოლონეთი).

პროექტში, ასევე, მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ბათუმის შოთა რუსთაველის, ქუთაისის აკაკი წერეთლის და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები.

თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა თავის მიმართვაში სტუმრებისა და დამსწრე საზოგადოებისადმი, აღნიშნა: ბირთვული ფიზიკა, მაღალი ტექნოლოგიები მედიცინის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს. სტუდენტები, რომლებიც დღეს ამ პროექტში მონაწილეობენ, იმ თაობას წარმოადგენენ, რომელიც სამომავლოდ უდიდეს როლს შეასრულებენ მედიცინის და სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებაში. სასიხარულოა, რომ ამ პროექტის განხორციელება სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ხვდანილა, როგორც გამარჯვებული პროექტის ავტორი.

ჩვენ, ქართველებს, მიგვაჩნია, რომ აკადემიური მედიცინის აკადემიკოსები მედიცინის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს. საქართველოშია, ეს კიდევ ერთი მოტივაციაა იმისთვის, რომ ყველაფერი გავაკეთოთ მედიცინის განვითარებისთვის საქართველოში. თსსუ მცდელობას არ აკლებს მომავალი ექიმების სრულყოფილ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეს. ამიტომაც მისი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება. აქ უკვე 1926 სტუდენტი სწავლობს 38 ქვეყნიდან. სასიხარულოა, რომ თსსუ თანამშრომლობს ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ბოლოს, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა განაცხადა სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა როგორც აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომლებს და მონვეულ სტუმრებს, ასევე, თსსუ-ს სტუდენტებსა და



საინტერესო დისკუსია გაიმართა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. – რადიაციული მედიცინა მომავლის მედიცინაა; რა პრობლემებთანაა დაკავშირებული მისი განვითარება საქართველოში და როგორია მათი გადაწყვეტის გზები? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად პროექტის ავტორმა, პროფესორმა თამარ სანიკიძემ, განაცხადა: – გეტანხმებით, ბირთვული და რადიაციული მედიცინა მომავლის მედიცინაა, რაც უკავშირდება მის უნიკალურ დიაგნოსტიკურ და თერაპიულ ეფექტურობას. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებსა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამოკვლევათა სიხშირე მხოლოდ კომპლექტურულ ტომოგრაფიაში, დაახლოებით, 60-ჯერ გაიზარდა და ზრდის ეს ტემპი სადღეისოდ არ იცვლება. ცხადია, სამედიცინო დასახეობა, ისევე, როგორც მაიონზებულ რადიაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა, გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და, თუმცა, ერთეულ პროცედურასთან დაკავშირებული რადიაციული რისკი მიზერულია, გამოკვლევათა სიხშირის გამო, პოპულაციურად დოზურმა დატვირთვებმა დრამატულ მნიშვნელობებს მიაღწია. მედიცინაში დოზათა რედექციის თანამედროვე კონცეფცია ეფუძნება „კლინიკურად გაუმართლებელი“ დოზური დატვირთვების მინიმუმაციას რადიოლოგიურ პროცედურათა „დასაბუთებისა“ და „ოპტიმიზაციის“ გზით.

პროფესორმა თამარ სანიკიძემ დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოსვლისას, ასევე, აღნიშნა, რომ, ბირთვული და რადიაციული მედიცინის განვითარებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების სისტემების განვითარებასაც. ეს მედიცინის ხვალისდელი დღეა. სწორედ ამიტომ, საქართველოში მო-

თხოვების დაცვა, მართლაც, პრიორიტეტული თემაა ქვეყნისთვის. რადიოლოგიურ პროცედურათა „დასაბუთებისა“ და „ოპტიმიზაციის“ აუცილებლობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იქნა დეკლარირებული 2008 წელს, ხოლო 2011 წლიდან უკვე მოთხოვნების სახითაა დაფიქსირებული ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) უსაფრთხოების საერთაშორისო საბაზის სტანდარტებში. აღნიშნული მოთხოვნები „პრაქტიკოსი“ რადიოლოგის პროფესიულ კომპეტენციებს ახალი მოთხოვნების უყენებს, მოითხოვს გაღრმავებულ ცოდნას სამედიცინო და რადიაციული ფიზიკის, რადიობიოლოგიისა და რისკების ანალიზის სფეროებიდან. სწორედ ამიტომ, IAEA-ს 2013–20 წლების ძირითად სტრატეგიად (55th IAEA General Conference, Vienna, 2011) გვერ ქვეყნებში „განათლებისა და ტრენინგების“ ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მშენებლობაა დეკლარირებული. ამ მიმართებით საქართველოშიც იდგება კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტი და ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი მეტად ნაყოფიერად თანამშრომლობენ მედიცინაში რადიაციული დაცვის თანამედროვე სასანალო-მეთოდური ბაზის შექმნის მიზნით. „ზამთრის სკოლა“, სწორედ, ამ თანამშრომლობის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს.

საინტერესო იყო პროფესორი გიორგი ორმოცაძის აზრი საქართველოში რადიაციული ფონის, რადიაცია-ინფორმაციული სიმსივნის რისკის შესახებ: რადიაციული სიტუაციის კონტროლი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის კომპეტენციაა, ჩემი ინფორმაციით, რადიაციული ფონი საქარ-



წარმოშობა და სტრუქტურა

როსა მიზნად უკვე ახლოა...



პირველი ნაბიჯები

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმიტი იზრდებოდა. ჩვეულებრივი ბავშვი გახლდათ: ცელქი, ცნობისმოყვარე, ხალისიანი... სწავლაში მშობლიური სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში იწყებდა და შემდეგ ბაღდათის №1 სამშალო სკოლაში აგრძელებდა. როგორც ყველა ნიჭიერი, ამ პერიოდშივე გამოჩნდა მისი შესაძლებლობა მისცემოდა. პროფესიული არჩევანიც იმთავითვე შექმნა განსაზღვრული – ტექნიკური საგნებისადმი ინტერესმა და ადამიანებისადმი დახმარების სურვილმა უკმაყოფილო გადარჩევით მიიყვანა; 2006 წელს იგი 30%-იანი, ხოლო 2007 წელს – 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვებით ირიცხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა ახლა მას მოუხმობთ: „სამსწავლო (უფრო – საბედნიეროდ), ეს შედეგი არ აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან ოჯახის არამყარი ფინანსური მდგომარეობის გამო არ შეძლება სწავლის გაგრძელების საშუალება, ვრჩები მშობლიურ ბაღდათში და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ პირობებში, ჯერ მხოლოდ საშუალო განათლებით, უნივერსიტეტს ზღუდრულზე მოწყვეტილი, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების რწმენით და უდიდესი შემართებით, ვცდილობ ფიზიკურ პროგრამის გონებრივი შევსებას, შევიძინო და გავიღრმავო ცოდნა, ხელი შევუწყო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. დღეები ერთმანეთს გაორმაგებული ენთუზიაზმით და მუხლჩაუხრელი შრომით ენაცვლებოდნენ, რადგან ჩემთვის უმაღლესი განათლების მიღების ერთადერთი საშუალებაა 100%-იანი გრანტის მოპოვება რჩებოდა“... და დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო: 2008 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებით სახელმწიფო დაფინანსება – 100%-იანი გრანტი – მოიპოვა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ქუთაისი

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით იწყება მედიცინის საფუძვლებთან ზიარება. ქიმიისადმი ინტერესის გამო დამატებით ესწრება ლექციებს ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, სადაც, როგორც თავად გვითხრა, შეხვდა ცხოვრების თანამგზავრს, რომელთან ერთადაც უახლოეს მომავალში ოჯახის შექმნას გეგმავს. საერთოდ, ქუთაისში ყოფნის პერიოდს თბილად იხსენებს: „ცხოვრებამ იმთავითვე არაჩვეულებრივ ადამიანებთან დამაკავშირა. მათთან ურთიერთობამ კი ბევრი შემიძინა.“ თუმცა ორი კურსის დასრულების შემდეგ ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდა

უფრო მაღალი დონის ცოდნის მიღების, მეტის შეცნობის და მიღწევის მიზნით, გადაწყვეტილებას იღებს სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გააგრძელოს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსი, რამაც მიიქცია ჩვენი ყურადღება: მიზნის მიღწევის გადავლილების თვალსაზრისით, ქუთაისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს მისთვის დახმარება შეუთავაზებია, რაც საუკეთესო და გამოჩენილი სტუდენტისთვის ერთგვარი რეკომენდაციის განცხადებას გულისხმობდა: „უარი ვთქვი, რადგან მიმაჩნია, რომ თუ ლირი ვარ, ყოველგვარი წარდგენის თუ რეკომენდაციის გარეშე შევძლებ გავაცნოთ თავი საზოგადოებას“. 2010 წელს იგი სარგებლობს მობილობის წესით, იმარჯვებს კონკურსში და ირიცხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის III კურსზე. მხოლოდ ამის შემდეგ აცხადებს ოჯახში აღნიშნულის შესახებ და მშობლებსაც, მილოცვის გარდა, რაღა დარჩენიათ, მიუხედავად იმისა, რომ მის გადაწყვეტილებას არ ემხრობოდნენ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ტრავმის ნარკოტიკი

როცა ადარებს იქაურ და „თბილისურ“ გარემოს, აღნიშნავს, რომ შეუდარებლად დიდი სხვაობაა: აქ ამხელა ტრადიციაა, დიდი შესაძლებლობები და შესაბამისად – მოთხოვნაც გაზრდილი... არ იყო მარტო: უცხო გარემო, ახალი პედაგოგი, უცნობი თანაკურსელები... „დღე და ღამე გეშინოდა და თანდათან ყველაფერი აენწყო. ღვთის წყალობით, აქაც კარგი ადამიანები შემხვდნენ. არასოდეს დამავინწყებდა პროფესორ **თინა ჩიქოვანი** ლექციები, მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ; ასევე, გავიხსენებ ფარმაკოლოგიის ლექციებს: ხშირად ტელეფონით ვიღებდი სლაიდებს, რაც თურმე ჩემს ლექტორს, პროფესორ **ნიკო გონგაძეს**, შეუმჩნეველი არ დარჩენია და წლის ბოლოს ე.წ. „ფლეშკა“ მაჩუქა, რომელზეც მისი ლექციები იყო ჩანერილი. მათ ლექციებს დღესაც სიამოვნებით დავესწრებოდი... ყოველთვის მხარდაჭერას ვგრძნობდი უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისგან. მადლიერებით გავიხსენებ თსუ-ის ვიცე რექტორთან, ბატონ **კახა ქელიძესთან** და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ქალბატონ **ირინე კვაჭაძესთან** შეხვედრას, რომელთა მხრიდან დახმარების სურვილი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დიდი სტიმული იყო ჩემთვის. ზოგადად, ადამიანების განწყობა ჩემ მიმართ, რა თქმა უნდა, არ იყო ერთგვაროვანი, თუმცა, უარყოფითი დამოკიდებულებაც კი, უკეთესობისკენ მიბიძგებდა. დღეს, შეიძლება ითქვას, ყველასთან თბილი ურთობა მაკავშირებს. აქ შევიძინე საუკეთესო მეგობრებიც. ხშირად ერთად ვმეცადინებოდათ და ვცდილობდით შეგვეცხო ერთმანეთის ცოდნა:

როსაც ერთი ვერ გაიგებდა, მეორე უღრმავდებოდა, ან – მესამე... მათთან ერთად მოვიდვიარ დღემდე და, დარწმუნებული ვარ, ასეც გაგრძელდება...“

2012 წელს იგი თსუ-ის სტიპენდიანტი გახდა. 2013-2014 წლები: თსუ-ის GPA-ის რეიტინგში წილად ხვდა I ადგილი და მიენიჭა პრეზიდენტის სტიპენდია; მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **თინათინ ჩიქოვანის** თქმით, მან, როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარე სტუდენტმა, ქუთაისიდან გადმოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება. ვინაიდან ივერი ლაგვილაძე სრულად აკმაყოფილებდა სტიპენდიისთვის განსაზღვრულ პირობებს, ქირურგიული მიმართულებების ხელმძღვანელების ერთობლივი გადაწყვეტილებით, იგი წარდგენილ იქნა სახელობის ქართველი ქირურგის, პროფესორი **ნოდარ გრიგოლიას** სახელობის სტიპენდიანტობის კანდიდატად.

აქვე მოკლედ ვიტყვი აღნიშნული სტიპენდიის შესახებ: იგი ამ რამდენიმე ხნის წინ დააარსდა ცნობილი ქირურგის, პროფესორი **ნოდარ გრიგოლიას** შვილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, **გიორგი გრიგოლიას** ინიციატივით და დაფინანსებით. ბატონი გიორგი ამჟამად მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკაში უფროსი ექიმის მოვალეობას ასრულებს. ცნობილია მისი განსაკუთრებული მზრუნველობა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისადმი: ბატონი ნოდარის და მისი ხელშეწყობით ასზე მეტმა ქართველმა სტუდენტმა და რეზიდენტმა გაიარა სტაჟირება მიუნხენის ლუდვიგ მაქს-იმილიანის უნივერსიტეტის სხვადასხვა კლინიკურ ბაზაზე. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ გიორგის, რომელმაც აღნიშნა: „დიდი სურვილი მქონდა მამარჩემის სახელობის სტიპენდიის მფლობელი გამხდარიყო მედიცინის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც ისევე თავდაუზოგავად ეყვარებოდა ქირურგია, როგორც მამას უყვარდა. მნიშვნელოვანი იყო სტუდენტის ცოდნის დონე, მისი დამოკიდებულება ქირურგიისადმი, ზოგადად, მედიცინისადმი. კიდევ ერთი აუცილებელი პირობა: პრიორიტეტი უცილობლად ენიჭებოდა სტუდენტის ფინანსურად არცთუ ხელსაყრელ მდგომარეობას და მის სოციალურ პირობებს. მამარჩემის და ჩემი სურვილი იყო, რომ ჩვენს სამშობლოში არცერთი სტუდენტი არ ყოფილიყო გულნატკენი იმის გამო, რომ შეძლებული და გავლენიანი „პატრონის“ გარეშე ვერ ეზიარა დიდ წარმატებას პროფესიაში, კარიერაში. ფიქრობ, ივერის კანდიდატურა საინტერესო არჩევანია და ამ კანდიდატურის წარდგენისთვის გულითად მადლობას ვუხდით ჩვენი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანატს და სამედიცინო საბჭოს.“

ივერის კი ვუსურვებ უფლის წყალობას და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს.“

...და 2014 წელს ივერი ლაგვილაძე ცნობილი ქირურგის, **ნოდარ გრიგოლიას**, სახელობის პირველი სტიპენდიანტი გახდა....

ერთი ჩვეულებრივი დღე, რომელიც არჩვეულებრივია...

გასაკვირი არაა, რომ დიდ დროს უთმობს კითხვას, მეცადინეობას. შესაბამისად, როგორც თავად იტყვის, მისი ერთი ჩვეულებრივი დღე ვიღაცისთვის საინტერესოა, ვიღაცისთვის – ერთფეროვანი. და, რაც ყურადღებას იმსახურებს: დღე, როცა 15 საათზე ნაკლებს მეცადინეობს, მისთვის სიზარმაცითაა გამოჩენილი. დღის გარკვეულ ნაწილს ენების შესწავლას უთმობს: თვითონ შეისწავლა ფრანგული, ახლახან დაიწყო გერმანულის სწავლა;



ისევე დამოუკიდებლად... საერთოდ, მიიჩნევს, რომ თეორიული განათლების მიღება მხოლოდ საკუთარი თავის იმედოდ და ყოველგვარ პირობებში შესაძლებელია. პრაქტიკა – სხვა საქმეა, საფუძველი უკვე გაქვს, ნიდაგზე მყარად დგახარ და, შესაბამისად, გაგრძელებაც გაადვილდება... აქვე ქირურგობის სურვილზე „ჩავეძიეთ“. პასუხიც საინტერესო და ამომწურავი მოვისმინეთ: „ქირურგია მედიცინის ყველაზე რთული და შრომატევადი დარგია, რაც შეეხება ნეიროქირურგიას, რითაც დაინტერესებული გახლავართ, ტიტანურ შრომას მოითხოვს, განათლების ფართო სპექტრს, სიღრმისეულ და მეცნიერულ ნდომას ქირურგიაში. შეუძლებელია არ გაინტერესებდეს: ეს არის დარგი, რომლისთვისაც ღირს ნებისმიერი შრომის განევა; შედეგი კი აუცილებლად დადგება, თუ მიზანი გაქვს და ბევრს შრომობ მის მისაღწევად. აქვე ვიტყვი, რომ როცა თბილისში გავაგრძელებ სწავლას, მეგონა, რომ უკვე ბევრი ვიცოდი, რაც უფრო ვუღრმავდები და ვსწავლობ, ვიგებ, რომ კიდევ მეტია სასწავლო, შესაძლებელი და მახსენდება სოციატე, რადგან სულ უფრო ხშირად მაქვს განცედა, რომ არაფერი ვიცი...“

აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ მისი ყოველი საათი, წუთი, „განერილია“; გარდა მეცადინეობისა, უმნიშვნელო დროს უთმობს სოციალურ ქსელს (დაახლოებით, თვეში 10-15 წუთი), ცოტასაც – მეგობრებთან და ახლობლებთან ურთიერთობას...

მედიცინის მიზან

არ იფიქროთ, ტიპური „ნიგნის ჭიაა“, რომელიც ნიდაგ სტრუქტურებს, ფორმულებს ჩასწერებია და სხვა არაფერი აინტერესებს. ეს დღეს სჭირდება საქმეს ასე, შესაბამისად – ამ ეტაპზე აღარ რჩება რჩება დრო, თორემ ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, საკმაოდ დიდხანს, ცეკვავდა ქორეოგრაფულ ანსამბლში და სხვადასხვა დროს მშობლიურ რეგიონსა თუ დედაქალაქში გამართული კონცერტების მონაწილე და არაერთგზის ლაურეატი. არა მარტო დაინტერესებული იყო სპორტით, არამედ, წლების მანძილზე, არაჩვეულებრივად თამაშობდა ფეხბურთს, შემდეგ – ჭადრაკს, ბილიარდს... ურჩევდნენ კიდევ ბოლომდე მიჰყოლოდა სპორტის რომელიმე სახეობას; შესაძლოა დიდი სპორტსმენიც „დაიკარგა“, თუმცა მთავარი სათქმელი ნინ არის და მას ქირურგიაში მშვერვალების დაპყრობა ჰქვია...

გაგზავნი

ამჟამად VI კურსელია და, შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობს სწავლის II საფეხურის – რეზიდენტურის – გაგრძელებას ზრუნვას. სურვილი აქვს რეზიდენტურაში სწავლა საფრანგეთში გააგრძელოს, რისთვისაც გარკვეული ეტაპებია გასავლელი. მართალია ჯერ რეგისტრაციაც არ დაწყებულია, ვაკანსიები არ გამოცხადებულა, მაგრამ უკვე გულმოდგინედ ემზადება: მეცადინეობს, მუშაობს ფრანგული დახვეწაზე, რაც აუცილებლად დასჭირდება. მომავალში სურს ჩამოყალიბდეს მსოფლიო დონის ნეიროქირურგად და, კლინიცისტობასთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს თეორიულ მედიცინაში. ოცნებობს შესაძლებლობაზე, რომელიც საშუალებას მისცემს დაეხმაროს თავის მსგავს სტუდენტებს წარმატების მიღწევაში.

მადლიერება

ყველა ინდივიდუალისთვის მსგავსად, ავტორიტეტზე საუბრისა და მათი დასახელებისგან თავს იკავებს: „ჩემთვის ყველა ავტორიტეტი, ვისაც კი მნიშვნელოვანი შეუქმნია თავის სფეროში, ვისაც განსაკუთრებული სიტყვა უთქვამს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში...“

თიღე მის საუბარს კი ერთგვარ რეზინად გასდევს მადლიერება ადამიანებისადმი. და ეს ეხება ყველას, ვისაც კი შეხვედრია ცხოვრების გზაზე: პედაგოგებს, თანატოლებს, მეგობრებს, შეყვარებულს... ზემოაღნიშნულ სტიპენდიანტზე საუბრის დროსაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას, უბრალოდ, „გაუმართლა“, თორემ სხვებიც არანაკლებ იმსახურებდნენ ამას...

მეცხველს არ გაუჭირდება მიხედვით, რომ ამგვარი გამართლება სხვა არაფერია, თუ არა მადლობის აღიარება, შესაბამისად, – სრულიად კანონზომიერი მოვლენა, სწორედ იმ გონიერების, შრომისმოყვარეობის, მიზანდასახულობის, მადლიერების გათვალისწინებით, ასე ზედმინვენით რომ ახასიათებს ჩვენს საინტერესო რესპონდენტს. მის მიერ დღემდე მარტო-ოღმარტო განვლილი გზა კი ვაფასობ, რომელიც უფრო ვუღრმავდები და ვსწავლობ, ვიგებ, რომ კიდევ მეტია სასწავლო, შესაძლებელი და მახსენდება სოციატე, რადგან სულ უფრო ხშირად მაქვს განცედა, რომ არაფერი ვიცი...“

ნათნ ბოლქვაძე

... რამდენადც განუზომელია ქალის როლი ოჯახის, საზოგადოების და ქვეყნის წინაშე, იმდენად შეუფასებელია მისი წვლილი ზოგადსაქოცებრივ თვალსაზრისით... ამქვეყნიური სიკეთით მადლცხებული ქართველი მანდილოსნები კი განსაკუთრებულად გამორჩეულნი არიან საქმის დიდი სიყვარულით თუ ერთგულებით, უბადლო სულიერებით და სიბრძნით...

...ჩვენი გაზეთის სტუმარი ქალბატონებიც სწორედ ასეთნი არიან – თავიანთი საქმით, ტრადიციებისადმი ერთგულებით, ცოდნა-გამოცდილებით და ნამდვილი ქართველქალობით რომ იმსახურებენ პატივისცემას.

ქირურგ და ფიტოთერაპევტ **ვერა სულაძის** – ათეულწლებით დახუნძლული სამედიცინო პრაქტიკით, გამორჩეულს პაციენტებისადმი უსაზღვრო სიყვარულით და თანადგომით – ბევრი იცნობს. დიდი გამოცდილებით მქონე მედიკოსი ცენტრალური რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში მოღვაწეობდა და, ამასთან, წარმატებული ფიტოთერაპიული პრაქტიკითაც გახლავთ ცნობილი.

გვანცა ხარაიშვილი კი სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ჩხეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი დოქტორია, მიზანდასახულობით და ადამიანური ღირსებებით უხვად დაჯილდოებული ქალბატონი... ქალთა დღესასწაულები გვინდა მივულოცოთ ორივეს და სამომავლო წარმატებები ვუსურვოთ!

აყხოვიში

მოგავლის მახინჯი


პირველი გამოცდილება სამედიცინო-კვლევითი მიმართულებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლისას შეიძინა, სადაც ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის გენეტიკის განყოფილებაში, ქალბატონ ანა გოგულის ხელმძღვანელობით დაიწყო მომავალი მეცნიერ-მკვლევარის – გვანცა ხარაიშვილის საინტერესო „მოგზაურობა“ გენეტიკის უსაზღვროდ საინტერესო სამყაროში... ექსპერიმენტს ექსპერიმენტის ცვლიდა, წარმატებას – კვლავ ახალი წარმატების მიღწევის სურ-

მანი, მეცნიერებათა დოქტორი ბოუხალი ხელმძღვანელობენ და ერთობლივად იკვლევენ სიმსივნურ დაავადებათა იმ მოლეკულურ საფუძვლებს, როგორცაა: სასიგნალო გზები, გენეტიკური ცვლილებები უჯრედსა და მის გარემოში, ასევე, ახდენენ ბიომარკერების იდენტიფიცირებას, ვალიდაციას და დანერგვას დიაგნოსტიკური, პროგნოზული და პრედიქტიული მიზნებისთვის, სწავლობენ სიმსივნის ღეროვან უჯრედებსა და პოტენციურ სამიზნე მოლეკულებს პაციენტის ეფექტური პერსონალიზებული თერაპიისთვის უახლესი მოლეკულური და რთული სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

გვანცა, ასევე, მონაწილეობს პროექტში, რომელიც ანდროგენ-დამოკიდებული პროსტატის კიბოს პრობლემატიკას შეეხება. მისი განცხადებით, ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად ნაადვება მედიცინის ურთულესი პრობლემის მოგვარების სა-



ვილი... საქმის სიყვარულმა მალე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგანატომიის და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ გიორგი ბურკაძისთან მიიყვანა, რომელთან გარკვეული პერიოდის მუშაობის შემდეგ, მისივე რეკომენდაციით, ნიჭიერი გოგონა 2007 წელს ჩხეთის ქალაქ ოლომოუცის პალაცის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე – „პათოლოგიური ანატომია და სასაბაზო მეთოდები“ – ჩაირიცხა მოლეკულური პათოლოგიის მიმართულებით.



ჩხეთის მომავალდობელი სილა-ამაზით ტკობასთან ერთად, იქაური სინამდვილე უცხოელი გოგონასგან საქმისადმი ზედმინიჭებით პრინციპულ დამოკიდებულებას და გულისხმიერებას ითხოვდა, რასაც გვანცამ ბრწყინვალედ გაართვა თავი და პროექტით დადგენილ ვადაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „უჯრედგარე მატრიქსის ცილები და ეპითელიური უჯრედების პლასტიურობა ძუძუსა და პროსტატის კიბოს პროგრესიაში“.

წარმატებული ქართველი ამჟამად პალაცის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მოლეკულური და ტრანსლაციური მედიცინის ინსტიტუტის მოლეკულური პათოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია და ქალაქ ოლომოუცის საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური და მოლეკულური პათოლოგიის განყოფილების ექიმ-პათოლოგად მუშაობს. იგი აქტიურადაა ჩართული სამედიცინო ჯგუფში, რომელსაც პროფესორები კოლარი, ერ-

ქირურგი ფიციონაპევი

ქირურგსა და ფიტოთერაპევტს, ქალბატონ ვერა სულაძის, კარგად იცნობენ ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში – იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტურის დასრულების შემდეგ, ორი ათეული წელი რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში მუშაობდა ქირურგ-დინატორად... ვინ მოთვლის, რამდენათაა პაციენტს მალამოდ დასდებია მათთვის თავდადებული და მუხლჩაუხრელი ექიმისგან მოგვრილი შეება და სიკეთე... სამედიცინო აკადემიის ფი-

ნილებს შერთება-გამკვირვებას. სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამედიცინო-კვლევითი ლაბორატორიის პათოფიზიოლოგიის განყოფილებაში, კუჭში ბეზოარის განვითარებისთვის ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ადამიანში განვითარებული ბეზოარის გამომწვევის მსგავსად, მსკლარტე ჯიშის ხურმის ნაყოფის, ასევე, თხის ქონის და ა.შ. მიცემით ინტაქტურ ძაღლებში, ბეზოარი არ იქნა მიღებული, მხოლოდ თმის მიცემით წარმოიქმნა ე.წ. ტრიქოზოარი. კუჭის სეკრეტორული და მოტო-

სუდაძის სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს მამია კომახიძის თანადგომას, რომელსაც მონაფის ყველა აღმოჩენა ახარებდა; მისივე წარდგინებით, გამოქვეყნდა ავტორის სამედიცინო შრომები და მონოგრაფიაც. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი მიდგომით, ბეზოარების პათოლოგია არსად იყო შესწავლილი, რომ იგი უნიკალურია და შესრულებულია ავტორის თავდაუზოგავი შრომის შედეგად; თუმცა, გარკვეული ხელშეშლელ მიზეზთა გამო, მაინც ვერ მოხერხდა ნაშრომის წარდგენა სამედიცინ-


გზა დიდი გამოცდილებისა...

ტოთერაპიის კათედრაზე ექიმ-ფიტოთერაპევტად მუშაობის შემდეგ კი, მის მიერ შემუშავებულმა და მონოღებულმა სამკურნალო ნამალ-საშუალებებმა არაერთი იხსნა თითქმის უცილობელი საოპერაციო ჩარევისგან და გაუხანგრძლივა სიცოცხლის წლები... ქალბატონი ვერა დღესაც „ჩვეულ ფორმაშია“ – გულსხმიერებით, საქმის ცოდნით, მოუღლეელი ენერგიით, კვლევა-ძიების ისე დიდი სურვილით, ყველა ნორმის დაცვით, კვლავ ქმნის არაერთი დასახლების ნამალ-საშუალებას, ამასთან, არის 6 წინაგნის, 20 სამედიცინო შრომის ავტორი, ახალგაზრდებს უკითხავს ფიტო-ფარმაცოლოგიის კურსს.

რული ფუნქციის შესაცვლელად ძაღლებზე გაკეთდა ტოტალური და სუბ-დაიფრაგმული ვაგოტომია. თავის დროზე, სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ხელმძღვანელობის და აკადემიკოს მამია კომახიძის ხელშეწყობით, ახალგაზრდა მკვლევარს საშუალება ჰქონდა, შეუფერხებლად ემუშავა დედაქალაქის სამედიცინო-კვლევითი დაწესებულებაში და, როგორც აღნიშნავდნენ, მსგავსი ხასიათის ექსპერიმენტები და შედეგები იმდროინდელ სამედიცინო ლიტერატურაში ცნობილი არ იყო; ცდები ტარდებოდა როგორც ჯანმრთელ, ასევე, ბეზოარიანი ხელოვნურად დაავად-

რო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ ძიება ამ მიმართებით არ შეწყვეტილა და მოგვიანებით, 2005 წელს, ქალბატონმა ვერამ გამოქვეყნა ნაშრომი – „ბეზოარი – ზოგი რამ ხურმის შესახებ“.

ხანგრძლივმა შრომამ ბეზოარების საკითხთან დაკავშირებით შედეგი გამოიღო – მედიცინაში ბევრ ამოუცნობ საკითხს გაეცა პასუხი, რასაც მონობს ამ თემაზე მის მიერ გამოქვეყნებული შრომები, ექსპერიმენტული და თეორიული ორიგინალების ექსპონატები, ფოტოსურათები, რენტგენოგრაფიები, ჰისტოლოგიური კვლევის მასალები, კუჭის წვეთის განსახილველი დიაგრამები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს შრომა შესრულებულია სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის, ბიოქიმიის და პათოფიზიოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ლაბორატორიის, ფარმაკოქიმიის და მორფოლოგიის ინსტიტუტების თანადგომით, რომელთა მიერ შრომა ამ მიმართებით შეუფასებელია.



უნდა ითქვას, რომ პრობლემა დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამიტომ გასათვალისწინებელია არსებული ის დიდი გამოცდილება, რაც ქალბატონ ვერა სულაძის ამ მხრივ წლების მანძილზე გააჩნია.



მდიდარმა სამედიცინო გამოცდილებამ ქალბატონ ვერას კარგად დაანახა ბუნებასთან მედიცინის უცილობელი კავშირის ფართე შესაძლებლობანი; მისი აზრით, მაღალეფექტურია ბუნებრივი მცენარეული საშუალებების, ასევე, ფუტკრის პროდუქტის გამოყენება სამკურნალო თვალსაზრისით. კერძოდ, იგი დარწმუნებულია ფიტოთერაპიის დიდ შესაძლებლობაში ვირუსულ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, როცა ექიმურ ნამოღებულს და მკურნალობის მეთოდებს ძაღლებზე ბევრი უარყოფითი შედეგი და გვერდითი მოვლენა გააჩნია. მისი აზრით, თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ ბრძოლა მიზანშეწონილია ვიტამინიზებული საკვები პროდუქტების მიღებით.

ქალბატონი ვერას პრაქტიკაში უხვადაა შემთხვევები, როცა მის მიერ შემუშავებული მცენარეული ნაკერის საშუალებების გამოყენებით მიღებულია მკურნალობის დადებითი შედეგები არაერთი რთული დაავადების დროს. ამასთან, იგი აპირებს შექმნას ატოპოტექტორული მცენარეების მოშენებას, რომელთაც შესწევთ ძალა, ადამიანის ორგანიზმში გაზარდონ ინტერფერონის გამომუშავების შესაძლებლობა.

ღვანლმოსილი ექიმი ამჟამად მშობლიურ კუთხეში – ახალციხეში მოღვაწეობს და ფიქრობს, რომ ამ მიმართებით, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მეცნიერთა სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ნამდვილად სამაგალი საქმეა.

იშვიათი დაავადებები

ქრონიკული გრანულომატოზური დაავადება ფაგოციტოზის დეფექტური მიკრობიციდიული აქტივობით



ექვანება გამორჩენილი ქართველი იმუნოლოგის, თსსუ-ის პროფესორის, აკადემიკოს ლადო განთაშვილის, ხსოვნას

არის მკვეთრი დაქვეითება, რაც განაპირობებს იონური ჟანგბადის ნარმოქმნის პროცესის მოშლას; ეს კი, თავის მხრივ, იწვევს სრული ფაგოციტოზის დარღვე-

ვას და გრანულომების წარმოქმნას. სპეციფიკური ლაბორატორიული დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება ნიტრო-ლურჯი ტეტრაზოლის (ნლტ) ტესტი, რომელიც ვლინდება იონური ჟანგბადის აქტივობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შემთხვევისას ადგილი ჰქონდა იონური ჟანგბადის ნარმოქმნის მოშლას, რაც მიუთითებს ამ ავადმყოფის ქრონიკული გრანულომატოზით დაავადებაზე.

სამკურნალოდ იყენებენ ბისეპტოლს, ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს, იმუნოსტიმულატორ გამა-ინტერფერონს, გრანულოციტების გადასხმას, ძვლის ტვინის ან ღეროვანი უჯრედების გადაწერვას.

მოგვყავს საკუთარი შემთხვევის აღწერა: ავადმყოფი მ. ნ., 40 წლის მამაკაცი, 13.02.2012 წ. შემოვიდა თსსუ-ის ცენტრალური კლინიკის ამბულატორიაში გახშირებული დეფექციის, მეტეორიზმის, და პოლიფეკალიის ჩივილებით. ანამნეზიდან ირკვევა, რომ ბავშვობიდანვე ჰქონდა გახშირებული ჩირქოვანი გამონადენი მუქი ნითელი კვანძოვანი ნარმოქმნების გამოჩენა ქვედა ყბაზე. ავადმყოფი ცდილობდა გამოერწყო ამ კვანძებიდან შიგთავსი, რასაც ზოგჯერ ახერხებდა - გამონადენი იყო თხელი, რძისფერი და ზოგჯერ - ჩირქისმავარი. ავადმყოფს სამი წლის მანძილზე ხანგამოშვებით აწუხებდა შემცივნება, მცირე ცხელება - 37,5 C°, ზოგჯერ - 38,0 C°-მდე. იღებდა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებს, რომლებიც ნაკლებად ეფექტური იყო. ამას მოჰყვა გახშირებული დეფექცია პოლიფეკალიით; ვერ იტანდა რძეს და რძის ნაწარმს - ხაჭოს, მანონს, არაჟანს. მათი მიღების შემდეგ ეწყებოდა იმპერატიული დეფექცია პოლიფეკალიით. ავადმყოფი გამოსაკვლევად და სამკურნალოდ იგზავნებოდა სხვადასხვა სპეციალისტთან - ზოგად, ყბა-სახის და ჩირქოვან ქირურგებთან. ბოლოს ის მოხვდა ონკოცენტრში, უჯრედული ტექნოლოგიის და თერაპიის ცენტრში (დირექტორი, პროფესორი კ. მარდალაშვილი).

ავადმყოფს გაუკეთდა ოპერაცია - ქვედა ყბაზე ნარმოქმნის ამოკვეთა, რომლის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევით გამოვლინდა: ჰიპერკერატოზი, დისკერატოზული ცვლილებები, ლიმფო-პლაზმოციტური ინფილტრატები და აკანტოზი. დასკვნა: ამ ცვლილებების საფუძველზე რთული დიფერენცირება დერმატოზების სუბვარიანტებს შორის (19.06.2012 წ., ექიმი დ. ბახტურიძე). იქვე, ონკოცენტრში, გაუკეთდა ქვედა ყბის მიდამოში ნითელი ამოპურცული ნარმოქმნის პუნქცია. ციტოლოგიური გამოკვლევით ნაწახია ანთების და გრანულაციური ქსოვილის ელემენტები, ასევე, ფიბროზული ქსოვილის ელემენტები (27.03.2012 წ., ექიმი დ. თუშიშვილი). ავადმყოფს დაენიშნა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა. კანის და ვენეროლოგიურ დაავადებათა ცენტრში ქვედა ყბის მიდამოდან აღებული იქნა შიგთავსი, რომლის დათესვის შედეგად გაიზარდა სტრეპტოკოკები და ოქროსფერი სტაფილოკოკები. დაენიშნა პიოფაგები - ციპრომექსინი, რიფამპინი. მგრძობელობის სპექტრის გათვალისწინებით, ავადმყოფს გაუკეთდა მუცლის ექოსკოპია, რომელმაც გამოავლინა დიდი კენჭი ნაღვლის ბუშტში. ასევე გაუკეთდა კისრის რბილი ქსოვილების კომპიუტერული ტომოგრაფია (გ. ნემსაძე, 13.02.2013 წ.). ქვედა ყბის არეში კანი გასქელებული და დეფორმირებულია. ყბისქვეშა სივრცეში ისახება გადიდებული ლიმფური კვანძები - 11, 9, 5 მმ., ასევე, ის-

(შემთხვევის აღწერა)

ახება ლიმფური კვანძები ქვედა ყბის კუთხის დონეზე მედიალურად - 16, 13 მმ., დიდი ზომის ლიმფური კვანძი ისახება მომრგვალო ფორმის - 30x25 მმ ზომის მოცულობით, სქელი კალციფირებული გარსით, რომელიც ფიქსირებულია ნიალის ქვედა კედელზე. ნარმოქმნის ცენტრალურ ნაწილში ისახება ქსოვილოვანი სიმკვრივის მასები. არსებული ნარმოქმნი არ იწვევს ნიალის კედლების დესტრუქციას (გ. ნემსაძე, 13.02. 2013 წ.). ამ მონაცემების საფუძველზე, ეჭვი იქნა მიტანილი ქრონიკული გრანულომატოზური დაავადებაზე. ავადმყოფს სამედიცინო ფირმაში - «ტესტი - ექიმთა სახლი» - გაუკეთდა იმუნოლოგიური გამოკვლევები: იმუნოგლობულინების კლასები - ნორმის ფარგლებში; ასევე, კომპლემენტი ნორმული. - T და B ლიმფოციტები - ნორმული. ფაგოციტური მაჩვენებელი - 60,0 (ნორმა - 80-90%), ფაგოციტური ინდექსი - 5,0 (ნორმა - 11-13); ამრიგად, იმუნოლოგიური სპექტრის შესწავლის საფუძველზე, ცხადი გახდა, რომ გვაქვს ფაგოციტოზის მკვეთრი დაქვეითება.

ამრიგად, მუქი ნითელი ნარმოქმნები ქვედა ყბაზე, ჰისტომორფოლოგიური, ციტოლოგიური, აგრეთვე, ბაქტერიული გამოკვლევებით და კომპიუტერული ტომოგრაფიით მიღებული შედეგები საშუალებას იძლეოდა, ეჭვი მიგვეტანა ქრონიკული გრანულომატოზური დაავადებაზე. ფაგოციტების დეფექტური მიკრობიციდიული აქტივობის გამოვლინამ დაადასტურა ზემოაღნიშნული დიაგნოზი. ავადმყოფი გასინჯეს ჩირქოვანმა ქირურგმა ი. ლალიაშვილმა და ზოგადმა ქირურგმა ლ. ძნელაძემ, რომლებმაც გამოთქვეს მოსაზრება «ცივი აბსცესების» არსებობაზე. ყბა-სახის ქირურგებმა - ზ. გვენეტაძემ, ნ. შენგელიამ და მ. სვანიძემ გამოიკვლეს ავთვისებიანი სიმსივნე ქვედა ყბის მიდამოდან ოპერაციული მასალის და პუნქტატის ჰისტომორფოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე. ავადმყოფს დაენიშნა გამა-ინტერფერონი (იმუნოსტიმულატორი), ბისეპტოლი, ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები, პოლიჟენი და სხვა.

სამწუხაროდ, ავადმყოფს ჩვენთვის განმეორებით არ მოუმართავს და ამიტომ მკურნალობის შედეგი უცნობია.

დასკვნა: ჩვენ მიერ, პირველად ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში, აღწერილია ქრონიკული გრანულომატოზური დაავადება ფაგოციტების დეფექტური მიკრობიციდიული აქტივობით.

ს. პაჭკორია, ვ. მუხარბია, ზ. გვენეტაძე, გ. ნემსაძე, ლ. ცინცაძე, ი. თავზარაშვილი, ი. ლალიაშვილი, ნ. შენგელია, მ. სვანიძე, ლ. ძნელაძე (თსსუ-ის ცენტრალური კლინიკა).



სურ.1-2. 40 წლის მამაკაცი ქრონიკული გრანულომატოზური დაავადებით. კანი გასქელებულია, მრავალკვანძოვანია, ჰიპერემიული. ნაგავს კეთრის ლეპრომატოზულ ფორმას. გამოირიცხა კეთრი, ტუბერკულოზი და ავთვისებიანი სიმსივნე; Fig. 1-2. 40 year old male with Chronic granulomatous disease and Defective Microbicidal activities of Phagocytes. Note leproma-like face;

სურ. 3. კანი ქვედაყბის მიდამოში გასქელებული და დეფორმირებულია; Fig. 3. CT-scan showing thickened and deformed skin in mandibular region (indicated by arrows) in same patient with Chronic Granulomatous disease;

სურ.4. ყბისქვეშა სივრცეში ისახება გადიდებული ლიმფური კვანძები; Fig. 4. CT-scan showing enlarged lymph nodes (indicated by arrows) in submandibular region in same patient;

სურ. 5-6. გადიდებული ლიმფური კვანძები ქვედაყბის კუთხის დონეზე; Fig. 5-6. CT-scan showing enlarged lymph nodes in submandibular space chronic Granulomatous disease.

ქრონიკული გრანულომატოზური დაავადება (ქგდ) წარმოადგენს სინდრომს, რომელსაც ახასიათებს რეციდიული ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები, განპირობებული ფაგოციტების ბაქტერიციდიული აქტივობის დაქვეითებით და ფაგოციტოზის დროს დამუანგავი მეტაბოლიზმის პათოლოგიური დარღვევებით. ნეიტროფილების და მონოციტების მორფოლოგია არ იცვლება, სპეციფიკური ჰუმორალური და უჯრედული იმუნიტეტი ნორმის ფარგლებშია (რ. ბერმანი, ვ. ვოგანი, 1989 წ.). ამ დროს ნეიტროფილებს და მონოციტებს არ შეუძლიათ ნარმოქმნან რეაქტივირებული O₂ - ჟანგბადის ნაერთები, თავისუფალი რადიკალები, რომლის დროსაც ფაგოციტური უჯრედები კარგავენ ბაქტერიციდიულ უნარს (რ. ბაკლი, 2012 წ.).

ქრონიკული გრანულომატოზური დაავადება (ქგდ) იშვიათობას წარმოადგენს. ა.ფიშერის (2012 წ.) მონაცემებით, ყოველ 200 000 ადამიანზე მოდის გლანულომატოზური დაავადების ერთი შემთხვევა, ხოლო ა. აბასის (2011 წ.) მიხედვით, ის უფრო იშვიათია და 1 მილიონ ამერიკელზე რეგისტრირებულია 1 ავადმყოფი ქრონიკული გლანულომატოზური დაავადებით. 70%-ში ქგდ მიეკუთვნება X-თან შეჭიდულ დაავადებას ქრომოსომასთან, დანარჩენი 30%-ის შემთხვევაში დაავადება გადაეცემა აუტოსომურ-რეცესიული გზით.

ქრონიკულ გრანულომატოზურ დაავადებას იწვევს კატალაზა პოზიტიური ბაქტერიები (ოქროსფერი სტაფილოკოკები), პათოგენური მიკობაქტერიები, Serrata marcescens-ები, Burkholderia Canacia-ები, პათოგენური სოკოები - ასპერგილები, კანდიდები და სხვა.

ქრონიკული გრანულომატოზური დაავადების მანიფესტირება ხდება ბავშვობის ასაკში (იშვიათად - მოგვიანებით). მას ახასიათებს რეციდიული ინფექციები - კანის, ფილტვების, ღვიძლის, ლიმფური კვანძების, კუჭ-ნაწლავის და შარდ-სასქესო ორგანოების გრანულომატოზური დაზიანებით; ახასიათებს, აგრეთვე, მიკრო და მაკროაბსცესები, ლიმფადენიტები, ანემია, ედს-ის აჩქარება. დიაგნოზის დასამაში გვეხმარება პუნქტატების და ოპერაციული ბიოპტატების ციტოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური შესწავლა, რომლის დროსაც ვლინდება გრანულომა, ფიბროზული და გრანულაციური ქსოვილის სიჭარბე, მონოციტების ფაგოციტური უნ-

ჩვენი კაპიტალიზაციის რეფორმები



ახალგაზრდა დასტაჟარი - დიდი პროფესიული გამოცდილებით

ზე. ნიჭიერი, მონდომებული, უნარიანი ყმაწვილი 2000 წელს სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით ამთავრებს და

სწავლას აგრძელებს დიპლომის შემდგომი განათლების რუსეთის სამედიცინო აკადემიის ორდინატურაში. მოსკოვშივე ამთავრებს ასპირანტურას და 2006 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე - „ინტრაოკულარული ლინზების იმპლანტაცია თვალის კაკლის პირველადი ქირურგიული დაშუშების დროს“ (ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, ორი წლის განმავლობაში, დღის მეორე ნახევარში, პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით, პარალელურად მუშაობს მოსკოვის პოლიკლინიკაში, თვალის ექიმად). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორდინატურის დამთავრების შემდეგ, მათი ნაკადიდან მხოლოდ ის, ერთადერთი, აქეთებდა თვალის ოპერაციებს მოსკოვის თვალის კლინიკაში. განყოფილების გამგემ, დარწმუნებულმა არსენის პროფესიონალიზმში, თავისი პაციენტები ანდო არსენს და მოკლე ხანში, უკვე სრულად დამოუკიდებლად, ატარებდა ოპერაციებს.

ჩვენი საუბარი საინტერესოდ წარიმართა:

- და აი, ოფთალმოქირურგის პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი ბრუნდებით თბილისში და „ოფთალმიჯის“ დირექტორის, პროფესორ ვია ჯავრიშვილის კაბინეტში ხვდებით...

- დიას, სწორედ ასე იყო. თამამად ვუამბობ ბატონ გიორგის ჩემი სწავლისა და მოღვაწეობის შესახებ მოსკოვში და მისი თანხმობით ვინც მუშაობას „ოფთალმიჯში“, მიკროქირურგის თანამდებობაზე, ორი თვის საგამოცდო ვადით; 2007 წლის აპრილიდან კი დამოუკიდებელ მიკროქირურგად ვაგრძელებ მუშაობას.

უკვე 12 წელზე მეტია, რაც ბატონმა გიორგი ჯავრიშვილმა, „ოფთალმიჯში“ დანერგა სხვადასხვა პათოლოგიის კატარაქტის ექსტრაქცია ფაკოემულსიფიკაციის ულტრაბგერითი მეთოდით, ე.წ. „უსისხლო ოპერაცია“. ოპერაციის დღეებში კლინიკაში, საშუალოდ, 10-დან 20-მდე ოპერაცია ტარდება. ტექნიკური აღჭურვილობა უმაღლეს დონეზეა, ოპერაციები, შეიძლება ითქვას, კონვეიერული სისტემით ტარდება. განვლილი 6 წელიწადში, ალბათ, 9 000-მდე ოპერაცია მექნება ჩატარებული.

- კატარაქტის ოპერაცია

თვალის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ოპერაციაა. ცნობილია, რომ აღარ ელოდებიან კატარაქტის სრულ მომწიფებას, რადგან თანამედროვე მეთოდები ოპერაციის ნებისმიერ სტადიაზე ჩატარების საშუალებას იძლევა. ალბათ მხოლოდ პროგნოზისთვის მნიშვნელოვანია ბადურასა და მხედველობის ნერვის ფუნქციური მდგომარეობა. კატარაქტის რა პათოლოგიები გხვდებათ ყველაზე ხშირად?

- კატარაქტა ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევა მისი გამჭვირვალობის დაკარგვაა. არსებობს დაავადების თანდაყოლილი და შეძენილი, პროგრესირებადი და არაპროგრესირებადი ფორმები. თანდაყოლილი ფორმა არ პროგრესირებს. შეძენილი კატარაქტა მიზეზის მიხედვით შეიძლება იყოს ასაკობრივი (მოხუცებულთა კატარაქტა); ტრავმული - გამოწვეული როგორც კონტუზიით, ისე თვალის კაკლის პირდაპირი დაზიანებით; გართულებული - თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანთების, გლაუკომის, ბადურას პიგმენტური გადაგვარებისა და თვალის ზოგიერთი დაავადების შედეგად განვითარებული; სხივური - სხივური ენერჯით ბროლის დაზიანების შედეგი; ტოქსიკური - ნაწილობრივი კატარაქტა; ორგანიზმის ზოგადი დაავადებით გამოწვეული - ვითარდება შაქრიანი დიაბეტის, თირკმლის დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი სახის დარღვევის ფონზე. კატარაქტის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მემკვიდრეობის ფაქტორიც. როგორც ოფთალმოლოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ბოლო დროს, 35-40 წლის ადამიანებს შორის, კატარაქტით დაავადების შემთხვევები უფრო და უფრო ხშირია, რამდენიმე ხნის წინ კი მას უმთავრესად ხანდაზმულთა პათოლოგიად მიიჩნევდნენ. უფრო ხშირად, ძირითადად, გვინვებს ასაკობრივი კატარაქტის ოპერაციების ჩატარება, უფრო ნაკლებად - შეძენილი, ტრავმული, იშვიათად - თანდაყოლილი კატარაქტის ოპერაციებისა.

აქ შესაძლებელია გაკეთდეს კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია მსოფლიოში ყველაზე მცირე - 1.8 მმ განივკვეთით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მაქსიმალური შედეგის მისაღებად და პაციენტის სწრაფი რეაბილიტაციისთვის. ამ ოპერაციის შესრულების საშუალებას იძლევა 2013 წელს კლინიკის ბაზა-

ზე დამონტაჟებული ცნობილი კომპანია - „ბაუშ ენდ ლომბის“ ფაკოემულსიფიკატორი - „სტელარი-სი“.

კატარაქტის შესახებ ინფორმაციის გაცნობით, შეიძლება ითქვას, რომ ასიდან 90-95 შემთხვევაში, ოპერაცია წარმატებით სრულდება - აღდგება მხედველობა და ადამიანი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება (უნდა აღინიშნოს, რომ თუ კატარაქტის საწყის სტადიაზე, რიგ შემთხვევაში, კატარაქტის მკურნალობისას ანტიკატარაქტული საშუალებებით - ვიტამინების კომპლექსის, ბიოგენური სტიმულატორებისა და არაორგანული მარილების გამოყენება სასურველ შედეგს არ იძლევა, მაშინ ყველაზე ეფექტურ მეთოდად ქირურგიული ჩარევა მიიჩნევა).

... კლინიკაში ჩემი ყურადღება მიიპყრო საოცრად კდემამოსილმა, ქართულ ფრესკასავით ნატიფმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ბატონი არსენის მეუღლე - თამაზა ჩაჩუა აღმოჩნდა. თამაზა მკურნალი ექიმი გახლავთ. მესამე წელია მუშაობს „ოფთალმიჯში“ ოპტიკურ-კოპერენტულ ტომოგრაფიაზე - ბადურას შრეობრივ გამოკვლევაზე. არსენმა და თამაზამ სიყვარულზე, ურთიერთგაგებასა და პაციენტებისთვის დამყარებული ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნეს და ალბათ მალე პატარების ჟრიაში შევა. ახლა მათ ლამაზ კერას...

- უმცროსი სამედიცინო პერსონალი, ისევე, როგორც სხვა კლინიკებში, თქვენში - მიკროქირურგების, მარჯვენა ხელია. აქ განსაკუთრებით იგრძნობა მათი ზრუნვა, ყურადღება, ფაქიზი დამოკიდებულება. დამამახსოვრეს თავი ახალგაზრდა, ენერგიულმა, თბილმა, მოსიყვარულე ექთნებმა - სათნო და ყურადღებანიმა მარია კუდუხაშვილმა, აგრეთვე, ნინო ვაბუნიაშვილმა და ნათია თევდორაშვილმა.

- მართალი ბრძანდებით, სწორად აღნიშნეთ. ჩვენი კლინიკის შესანიშნავი ხელმძღვანელები, ბატონი გიორგი ჯავრიშვილის, დამსახურებაა, რომ „ოფთალმიჯში“ ძალიან კარგი, მეგობრული კოლექტივია. ოპერაციის დროს პროფესიულად მუშაობენ კვალიფიციური ექთნები - მარია ბაბაშვილი და ხატია რეხვაიაშვილი. კადრები შერჩეულია არა მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით, არამედ პიროვნული თვისებების მიხედვითაც. რეგისტრატურის თანამშრომლებიდან დანყებულნი, ყველა - სანიტარი თუ დამლაგებელი, ფუტკარივით შრომობს, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

- ბატონო არსენ, მაინტერესებს, საქართველოში არსებული

თვალის კლინიკები თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობით, ოპერაციების ხარისხით და, ზოგადად, ხომ არ ჩამოუვარდებათ საზღვარგარეთის კლინიკებს, თუნდაც ჩვენი ახლო ჩრდილოეთი მეზობლის - რუსეთის ფედერაციის კლინიკებს?

- თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ - არა, ნამდვილად არ ჩამოუვარდებათ არც ტექნიკური აღჭურვილობით, არც ოპერაციების ხარისხით.

- თუ შეიძლება, გვითხარით, თქვენი კლინიკის სამომავლო გეგმების შესახებ.

- უმოკლეს ხანში „ოფთალმიჯში“ დაგეგმილია ვიტრეორეტინალური ქირურგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს ოპერაციებს ბადურაზე და მინისებური სხეულის შეცვლას. ამ კუთხით იმუშავებს ჩვენი შესანიშნავი, გამოცდილი ახალგაზრდა ქირურგი მიხეილ თევდორაძე.

გვეამაყება, რომ ბატონი არსენის სახით, საქართველოს ჰყავს თანამედროვე ოფთალმოქირურგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღზრდილი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღვაწე, თავისი საქმის უსაზღვრო მოყვარული, პერსპექტული, მაღალი რანგის სპეც-



იალისტი. შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ბატონ არსენ შურლაიას - გამოცდილ, მზრუნველ, ამაგდარ დასტაჟარს კეთილშობილურ საქმიანობაში და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებისთვის მრავალი პაციენტის მადლიერებას ჩემი გულწრფელი მადლობაც მიწადა შევუერთო; ჯანმრთელობა, დინდანს სიცოცხლე, ბედნიერება, წინსვლა დაეხედოს საქართველოს ჭეშმარიტად ღირსეულ მოქალაქეს, ძვირფას ადამიანს!

ყურნალისტი

ნათია ნათიაშვილი-კვიციანი

სკოლის აქტივობებისთვის

ცნობილია, რომ უკვე მრავალი წელია საქართველოში აღარ ფუნქციობს სკოლის ექიმის კაბინეტი. მიუხედავად აღნიშნულისა, თბილისის ბევრ საჯარო სკოლაში, დირექტორების ინიციატივით, მაინც მუშაობენ სკოლის ექიმები, რომელთა მოვალეობაში შედის სასკოლო სპორტში მონაწი-

ლე მოსწავლეებისთვის სპეციალური სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაც. სამწუხაროდ, საჯარო სკოლებში მომუშავე ექიმები სადღეისოდ ყოველმხრივ მოკლებულნი არიან საჭირო კონსულტაციებს სპორტულ მედიცინაში.

ახლა ხან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტის პროფესორების: რომანოზ სვანიშვილისა და ზურაბ კახაბრიშვილის ავტორობით და მათივე შესაძლებლობებით, გამოიცა (მართალია - მცირე ტირაჟით) სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელო - „სკოლის ექიმის სპორტული მედიცინის ცნობარი“, რომე-

ლიც გადაეცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისი შემდგომი გავრცელების და სკოლის ექიმების მუშაობაში დახმარების მიზნით.

უდავოა, რომ აღნიშნული წიგნის ავტორების მიერ გაწეული შრომა დადებითად უნდა შეფასდეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სკოლის აქტივის სპორტული მედიცინის ცნობარი
თბილისი 2014

ლოქონი-ოქონი გვერდით



სხვა რა, თუ არა სიყვარული?

გიორგი ბაბუა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი, „სამედიცინო გაზეთის“ სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი

სმირად ვსაუბრობთ პოეზიაზე და მის ზემოქმედებაზე, რომელიც ყოველთვის გვაესებდა, გვაესებს და აგვაავსებს ვნებით გაუქვნილი სტროფებით.

გალაკტიონზე მინდა გვსაუბროთ – „როგორც ერთი ქვეყანა მთელი, ისე ერთი გალაკტიონი“, – თქვა მან, საკუთარ თავს მოარგო ეს მხატვრული შედარება და ამით არაფერი დაუშვებია, რადგან, ის, მართლაც, შეუდარებელი იყო...

ნოდარ ტაბიძე ამბობს: „სამი მწვერვალი არსებობს ქართულ ლიტერატურაში: რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი“. ზუსტადაც, რომ ეს სამი ადამიანი მიაჩნია მას ქართულ პოეზიაში უბრუნებელი სიღრმისადა. იგი არასოდეს წერს – „დიდი გალაკტიონი“, რადგან თვლის, რომ გალაკტიონი თავად არის მეტაფორა, ეპითეტი.

1959 წლის 17 მარტს გალაკტიონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 2000 წელს კი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მუხნდო თვითმკვლელობის ცოდვა. იმ დღეს ორჯერ სცადა თვითმკვლელობა: დღის სამის ნახევარზე და საღამოს ექვსის ნახევარზე, მაგრამ ორჯერვე გადაიფიქრა: „ჯერ ადრეა, გალაკტიონ, ცოტა ხნის შემდეგ“. მესამეჯერ განზრახვა სისრულეში მოიყვანა. ის მესამედ და უკანასკნელად შევიდა 92-ე ოთახში, კარი მიხურა, ავადმყოფის ხალათი გაიხადა, სკამი აიღო, ფანჯარასთან მიიტანა, გამოადლო ფანჯარა, ჯერ სკამზე ავიდა, მერე – ფანჯარის რაფაზე და ფრთაგამოღობით დაენარცხა ქვეყნიერს. როდესაც პოეტს მთანმინდა ასაფლავებდნენ, აქაც უმუხტოა ნუთისოფელმა, გაჭრილი სამარე ვინრო აღმოჩნდა...

მიუხედავად თვითმკვლელობისა, „მეფე-პოეტის“ ასეთი აღსასრული საზოგადოებას არ აღუქვამს ტრაგედიად. ამის მიზეზი თვითონ გარდაცვლილი იყო. ვერავინ მოიარზებდა „ლურჯა ცხენების“, „ეფემერას“, „ვილანელის“ ავტორის ამგვარი ნაბიჯის ჩვეულებრიობას, ესეც რაღაცნაირად მისტიკის ჟანრში გადაიქცა, გალაკტიონიც ხომ თავად მისტიკური პიროვნება იყო, ხოლო მისი შემოქმედება – მისტიკური. ამიტომ შეუძლებელი იყო ამ ყველაფრის მიწიერი საზომით განსჯა. მართლაც, უფეხვალად, მისი ცხოვრების გზა „სიზმარი და შორეული ცის სილაყვარდე იყო.“

ცოტა ხნით ადრე მუშა-კოვტის აღსასრულამდე

„გალაკტიონი ისევ ცუდად იყო... 17 მარტს მითხრა: – არა მგონია, ადგილი ჰქონდეთ, მაგრამ კარგა იზამ თუ გამოიყვებოდა საავადმყოფოში. მეც დავეთანხმე, ჩავაცვი პიჯაკი, მანქანა გააჩერეთ და წავედით. რომ მივუახლოვდით საავადმყოფოს, გალაკტიონმა უთხრა მძღოლს: – „გარკე!“ და გავაგრძელეთ გზა, შემდეგ გადავიდა, დალია არაყი, მიაყოლა ჯონჯოლი, ჩაილაპარაკა: – „არ გამოვცოცხლდი კაცი?“ ამის შემდეგ რუსთაველისკენ გავემართეთ. გზაში მძღოლს ესაუბრება: – შეილება გყავს? – დიახ, ორი და მალე შეილიშვილსაც ველოდები. – ჰოდა, უთხარი შენს შვილებს, რომ გალაკტიონი ნახე. იცი, როგორ ვუყვარვარ ახალგაზრდობას? ყელმოღერებული ლაპარაკობ-

და..... ნავიდეო, იქნებ იყოს ადგილი, – ვუთხარი მე და საავადმყოფოსკენ გავემართეთ. მივედი. ნაცნობი ექიმები გადავიხივეთ გალაკტიონს და უთხრეს: – „დღეს ადგილი არ გვაქვს“.

18 მარტს დილით ისევ ვკითხე: – „როგორ ბრძანდებით?“ მან კი მიპასუხა: არა მოშვებს რა, – თან ხელეხს იფშენებდა. უკვე ისეთ დღეში იყო, რომ ნინაამდგომის განწვევის თავიც კი აღარ ჰქონდა. შეგვხვდა ნაცნობი ექიმი და უთხრა გალაკტიონს: „მალე მოევი შენი ძმაცკი კალე (მთავარი ექიმი) და აუცილებლად აღმოგიჩენს ადგილს“. ვდგავართ ბატონი კალეს კაბინეტის წინ. აი, მოვიდა მთავარი ექიმიც:

– რა დავემართა, გალაკტიონ? – ვკვდები..... გრიპი... გაციება... სურდო (რალა თქმა უნდა, ყველაფერი არ დასახეულა)... – გიშველი რამეს, ახლავე ავალ და გიშველი ადგილს.

მართლაც, აღმოჩნდა ადგილი. შევიყვანე გალაკტიონი ოთახში, ჩავაცვი საავადმყოფოს ტანსაცმელი, გამოვედი ვესტიბიულში და ვხედავთ, მწერალთა დელეგაცია მოდის, შალვა დადიანის ნეშტი უნდა გადაასვენონ მთანმინდაზე. ერთადერთი, ვინც დელეგაციას გამოეყო, იყო ირაკლი აბაშიძე, ანუ გემა გალაკტიონი და ნავიდა. სხვა არცერთ მწერალს გალაკტიონისკენ არ მოუხედავს.

გალაკტიონმა გამომხივებებისას მომცა დავალებები და წამოვიდო. მოვედი სახლში და ორ საათში გაისმა ავადმყოფის ნკრიალი ტელეფონისა: „გალაკტიონი აღარ არის“..... რა თქმა უნდა, ძალიან უნდათ, ყველამ ჩათვალა, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა, მაგრამ არავის უყვარს სიცოცხლე ისე, როგორც გალაკტიონს უყვარდა. ეს ავადმყოფობა საშინელი რამ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოდის, რომ არაა იქმნება. სწორედ ამ დროს უნდა სიფრთხილე, რომ საშინელება არ ჩაიდინოს კაცმა, გონება ვერ არის თავის რიგზე.

გალაკტიონი იხდის ხალათს და დებს. ლოგიკურად იხადება კითხვა: რატომ არ გადახტა ხალათიანი? მე მაქვს ამის ჩემებული ასხნა – ამ დროს მას ქვემოთ ესახება ზღვა. იხდის და უნდა, რომ შევუდგეს ზღვაში. გალაკტიონს თავი არ მოუტოვებს, ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ასახსნელი გალაკტიონთან დაკავშირებით არა მარტო პოეზიაში, არამედ ცხოვრებაშიც. მე ძალიან ვეტანები ლეგენდებს, რადგან ეს არის საზოგადოების წარმოსახვაში დიდი მოღვაწის წარმოჩენა, ეს არის ხალხის დამოკიდებულება. ყველაფერს ვინერ და სწორედ ამიტომ, ჩემზე დიდი არქივი გალაკტიონისა არსად არსებობს. ვალდებული ვარ კიდევ, – წერს, ნოდარ ტაბიძე.

გალაკტიონის ცხოვრება-მოღვაწეობის ყოველი ეპიზოდი, ნათქვამი ფრაზაც თუ დაუთმავრებული სტროფი დიდ ინტერესს იწვევს. დიდ ჩაღრმავებას და ლექსის ამოსაცნობ დაუღალავ ძიებას მოითხოვს მისი შემოქმედება. გალაკტიონის სიყვარულშიც ღრმად და რწმენაშიც, ამის კარგ არგუმენტად მისი ლექსების მოყვანა შეიძლება – „უსიყვარულო“, „ელვარე და ლომფერი“, „აფემერა“, „მზეოთიბათისა“.

სიმწარისა და ტრაგიკულობის მძაფრი ბედი ხვდა წილად გალაკტიონს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო მეფე-პოეტის ქარტეზილებით აღსავსე ცხოვრება დაემუხრუჭებინა, ოლია ოკუჯავა იყო. გალაკტიონმა მას ერთი ასეთი ლექსი მიუძღვნა, რომელიც მათი განშორების ერთგვარი წინათგანმობა იყო: „ჩემო ოლია! დღევანდელი დღე ბაირონი და გვირილია“. ზუსტად ანალოგიური განშორება ჰქონდათ, ლორდ ბაირონსა და მის უკანასკნელ სატრფოს – ტერეზა გვირილის.

ოლიასთან განშორება პოეტს ძალიან უშშიმდა. ეს მის სულიერ მდგომარეობაზეც აისახა. გალაკტიონი თეატრში გამართულ საღამოზე მივიდა, გვიდა თუ არა სცენაზე, დაიწყო ლექსის – „მე და ლამე“ ნაკითხვა, მაგრამ ვერ დაასრულა, რადგან დაავიწყდა საბუნდუნოდ, უხერხული მდგომარეობიდან, ვიღაცის ლექსმა გამოიყვანა, რომელიც იქვე კათედრაზე დარჩენილია.

„ოლია, ძვირფასო ოლია, უსათუოდ ჩამოდი მალე, თორემ თავს მოვიკლავ... ასე აღარ შემძლია. როცა შენთან ვარ, არასდროს ასეთი საქმე არ დამემართება. მაინც რა სულელურადაა მთელი ჩემი ცხოვრება მოწყობილი. არაფერს იგი არ ჰგავს. სახსნელი გზა არსადაა, პირდაპირ. ოკ, ნეტავი, ეხლა შენთან ვიყო, მე ყველაფერი გეტყვოდ,.... ოლია, მითხარ, გიყვარვარ ძველებურად? მე გგონია, არა!.. ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვინმეს უყვარდეს? დადებითად ძლიერი ჩემში არაფერი არ არის. რომ ვიყო ბაირონი, ლერმონტოვი, გოტიე,.... მაშინ შემოვიყვარებდნენ. მე კი ისე პატარა და დაწერილობაზეული კაცი ვარ... შენ იცი, როგორ მოუვლი თავს... გამხდარი და ავადმყოფი არ ჩამოვიტოვებ, თვარა, არ ვიცი, რას გიზამ... მწარედ გავლახავ ჭინჭრით.“

ოლია პირველად შუა აზიაში 1929 წელს გადასახლეს; სწორედ, ოლიას გადასახლება მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი: „უკანასკნელი მატარებელი“: „ცხოვრების ეტლის სადარბეული საცაა გავა მატარებელი. მიმგზავრება იმედი ჩემი, ბედის ვარსკვლავის სადარბეული. ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, – რა საჭიროა ახლა გოდება. მატარებლისგან როს მიმილია ან თანარძობა, ან შეცოდება?..“

ოლია მეორედ 1937 წელს დააპატიმრეს და რუსეთში გადასახლეს, ქალაქ ორიოლში. წერილების მიღება 1941 წელს შეწყდა, გალაკტიონი მიხვდა, რომ ის ცოცხალი აღარ იყო. „ო, როგორ მინდა განვჭვრიტო მომავალი და გავარკვიო, მინერია თუ არა შენთან შეხვედრა... არაფერი ვიცი შენ შენახება. როგორი გამოვიდა შენი წიგნი? არ მენერა მე მისი ნახვა“, – სულისშემძვრელია ოლიას წერილები. „სახლში, სახლში მინდა, სახლში მინდა, გესმის, გალ“, „ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო! ყოველდღე გადავცემ შენს მოკითხვას ჰაერის ტალღებს... არ გასაყვედურობ, არ არის საჭირო, მაინც მოგწერ და მოგწერ ბარათებს, სანამ ცხოვრების ქარიშხალი საშუალოდ დამიხუჭავს თვალებს“... ბოლო წერილი 1941 წლის 30 აგვისტოს მიუღია, 1941 წლის 11 სექტემბერს კი, მედვედოვოს ტყეში, ქალაქ ორიოლთან ახლოს, ოლია ოკუჯავა დახვრიტეს.

„მარტობის ორდენის კავალერი“, – როგორც ტიტანი იტყოდა, უშშიმესი ხვედრის წინაშე დადგა, მას ოლია

მოუკვდა, მისი „ოლია“, „ოლია“, მისი ცხოვრების ნათელი წერტილი, მისი სულის ნაწილი. სხვა რალა უნდა დარჩენოდა მეფე-პოეტს, ლექსის წერის გარდა – „ძვირფასო, ლექსი მევესება თოვლით, დღეები რბიან და მე ვბერდები“ (1916 წლის „თოვლი“).

მოგონებები გალაკტიონზე – „ბუნდუნება მხვდა, რამდენჯერმე შეხვედროდი გალაკტიონს, დეტალურადაც გაცნობოდი დიდი პოეტის შემოქმედებას და თვალყური მედევნებინა ამ განუყოფელი პიროვნების ცხოვრებისთვის, – წერს აკაკი ხინთიბიძე;

ერთმა პოეტმა თავისი ლექსების რუსული თარგმანი გამოსცა წიგნად. გალაკტიონი შეხვედრია: – შესანიშნავია, ძამიკო. ახლა ნახე ერთი კარგი მთარგმნელი და ქართულად ათარგმნე.

მწერალთა სასახლეში დარბაზის კარი შეუღია, სადაც პოეზიის სექცია მუშაობდა, – აა, კრება გაქვთ, ძამიკო, პოეტებს? და კარი გამოუხურავს.

– თქვენ პირველი პოეტი ბრძანდებით, – ეუბნებიან ერთხელ გალაკტიონს. დავისახელები მეორე! – რატომ მეორე, ძამიკო, მეხუთე-მექვსე! – უთქვამს.

„მე და ბარათაშვილის“ ავტორს (ალიო მირცხულავა) ერთ სალიტერატურო საღამოზე უთქვამს: – „ლექსის ვეფხი და გრიგალი, მე ვარ და გალაკტიონი“. გალაკტიონი შეხვედრია და ამბობს: – შესანიშნავია, ძამიკო ალიო, მხოლოდ ერთი ასო უნდა შეცვალო: – „მე ვარ და“ კი არა: – „მოვარდა“.

რეპრესიების წლებში, დილით, ხელისუფლებამ არავს დაისხამდა, სახეზე მოისვამდა და ისე გამოდიოდა სახლიდან.

გალაკტიონის თვითმკვლელობის მთავარი მიზეზი სახელმწიფო და სამწერლო ელიტისგან უყურადღებობა იყო, რადგან თავად არ სცნობდა მათ; სამაგიეროს უხდიდნენ. 1959 წლის „მნათობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა გიორგი მარგველაშვილის სტატია, რომელიც გალაკტიონის პოეზიას შეხებოდა. კრიტიკოსის აზრით, პოეტის პირველი წიგნი (1914 წლის კრებული) ბანალური ლექსები იყო მოთავსებული, ხოლო მეორე წიგნი („არტისტული ყვავილები“) ფრანგული პოეზიის მიხედვით ნარმადადენდა.

იმავ კრიტიკისმა ამ ხანებში გამოაქვეყნა სტატია მისიონ ჩიქოვანისა და ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე და, რამდენადაც მახსოვს, კრიტიკული შენიშვნების გარეშე. უფრანკოსი ეს წიგნიც მოგვიანებით, პოეტის თვითმკვლელობამდე ორიოდე კვირით ადრე მიიღო საზოგადოებამ. გალაკტიონი ყველაფერს კითხულობდა და, ცხადია, ეს სტატიებიც წაუკითხავი არ დაჩრებოდა, რაც მის მგრძობიარე გულს ლოდვიით დაანებოდა (ცხადია, გამარგველაშვილი შემსრულებელი იყო, დამკვეთები სხვები ბრძანდებოდნენ)... იმ ხანებში აჩვენებდნენ მხატვრული ფილმს „ჯადოქარი ქალი“. ამაზრუნის სურათი იყო – ბრბოს მიერ ქალის გვემა-ნამება. იგი მაინც უძლებს, ცოცხალია, მაგრამ ბოლოს ქვას მოახვედრებენ და სულს განუტყვევებს.

მაშინ მე და ჩემი მეგობრები გალაკტიონზე დაწერილ წერილს ამ ქალის მოსაკლავად გასროლილ ქვას ვადარებდით.

ეს იყო უკანასკნელი ლოდი, რომელიც დიდი პოეტს მიაყოლეს.

გალაკტიონის ცხოვრებაში ოლია დარიუსი იჭრება; მისი მეორე მეუღლე, სწორედ ესტონელი მკვლევარი ოლია დარიუსია. ოლია, ასე ვთქვათ, ბედთან შეგუებულია. მან იცის, რომ გალაკტიონის ძალიან უყვარს ოლია.. ის კი არა, 1940 წელს ოლია დარიუსის ხელითაა დაწერილი წერილი ოლია ოკუჯავას მისამართით:

„მე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად ვიყავი, თავს სრულიად უიმედოდ ვგრძნობდი, აღკვიციოდი, რა მექნა, განადგურებული ვიყავი დარდისგან. ამანაც გაიარა, დაბეჩავებულმა უიმედობამ, გაურკვევლობამ – რას იზამ? ყველაფერმა, ყველაფერმა გაიარა. შენს წერილებზე ყოველთვის ვიპასუხებ, ოლია, შენ უნდა იმკურნალო. ო, როგორ მინდა, შეგიმუსუბუქო შენი ახლანდელი მდგო-

მარეობა“. 1940 წლის 23 ივნისი.“ ოლია დარიუსი ერთგან წერს: „გალაკტიონში ორი პიროვნებაა: ერთი კეთილი, გულისხმიერი, სინათლის რომ მავრქვევს და სიცოცხლის წყურვილს მიმძაფრებს, მეორე კი ავი, ბოროტი, რომელიც მწარგავს და მანამებს.“

მეორე ცოლთან – ოლია დარიუსთან დაშორების შემდეგ გალაკტიონი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა მესამე მეუღლესთან – ნინო კვირიკაძესთან. პირველად ერთმანეთს 1916 წელს შეხვედნენ. ნინოს დანახვისთანავე ფეხზე წამოჭრილა: „ეს ძვირფასი მტრედი – ვინ მოგწინააო“.

გოგლა ლონიძე უყვარდა ძალიან, რადგან მას ერთხელაც არ უთქვამს, გალაკტიონი ლოთიაო. გალაკტიონი ხშირად ამბობდა: – გოგლა ვაჟკაცია, რამდენჯერ მთვრალი ვუნახივარ და საყვედური არ დასცდენიაო. ერთხელ მწერალთა კავშირში მისი ლოთობის საკითხი განიხილეს, ზოგიერთი ტაბიძის გარიცხვასაც კი მოითხოვდა, თუ სმას თავს არ დაანებებდა. გოგლა კი ამდგარა და უთქვამს: – კარგით, დავუშვათ, გალაკტიონი გავრიცხეთ, მერე რას ვშვრებით? ვიღაც შეპასუხებია, – რა მოხდა მერე, მწერალთა კავშირი უგალაკტიონოდ ვერ იარსებებო? გოგლას გასცინებია, მაშინ ამ კავშირს სახელი გადავარქვათ და ფხიზელ და არამსმელ მწერალთა კავშირი ვუნდოლო. გალაკტიონი კი, გინდა კავშირის წევრი იყო, გინდა არა, მაინც გალაკტიონად დარჩება, ნიჭს მაგას ვერავინ წაართმევსო...

... გალაკტიონს დალევა თუ უნდოდა, დედამის ზურგზე ვერავინ დაუშლიდა. ერთადერთი, ლენინისი ეხანებოდა. გოგლა რომ დაპატივებდა, იმ დღეს არ სვამდა. იძახდა, ჩემს გოგლას არ ვანყენებ, ფხიზელი უნდა მივივი; სულ გათიშული მთვრალი რომ მიმიტანონ, მაინც არაფერს იტყვის და აი, სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ ნასვამი მნახოსო.

ქალბატონი ინესა მერაბიშვილი თავის წიგნში – „გალაკტიონის ენიგმა“ – წერს: „ერთ დღეს მხატვარ კორნელი სანაძე მოულოდნელად გალაკტიონი ესტუმრა და სთხოვა, სასწრაფოდ მისი პორტრეტი შეესრულებინა. პოეტი ანერვიულებული ჩანდა. მხატვარს უთხოვია, ეს საქმე მეორე დღისთვის გადაედოთ, რათა საკადრისად მომზადებულიყო. ისიც მოემზებებია, მასალა არ მაქვსო. გალაკტიონმა თურმე სტაცა ხელი იქვე იმედულ სურათს, მოაბრუნა და უთხრა, მეორე მხარეს დამხატეო, თან დაამატა – ან ახლა, ან არასდროს! რა გაენყობოდა. მხატვარმა ფუნჯი აიღო და სურათის მეორე მხარეს ძირითადი კონტურების მოხაზვა დაიწყო. უფიქრია, სურათს შემდეგ დავამთავრებო. მუშაობის დასრულებისთანავე გალაკტიონი ნერვიულად წამოდგა და კარისკენ გაემართა. მხატვარმა ის ქუჩის ბოლომდე მიაცილა. გაჰკვირვებია, გევი შინისკენ რომ არ აიღო და ვაკის მიმართულებით წავიდა. ვიდრე მხატვარი გონს მოეგო, თბილისი გალაკტიონის სიკვდილმა შეძრა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ პოეტს სიკვდილი გადაეწყვიტა და უკანასკნელი პორტრეტის დატოვება სურდა. ეს მნიშვნელოვანი ცნობა მოგვანოდა ბატონმა რევაზ ბარამიძემ. კორნელი სანაძეს გალაკტიონის მრავალი პორტრეტი აქვს შესრულებული. მხატვრის ფერად ალბომში ყურადღებას იპყრობს გალაკტიონის ერთი პორტრეტი, რომელიც 1960 წლითაა დათარიღებული. ეს თარიღი კი ძალიან ახლოსაა პოეტის უკანასკნელ დღესთან, 1959 წლის მარტთან. მხატვარი აუცილებლად გააცოცხლებდა იმ კონტურებს, პოეტის დაბრუნებულმა თხოვნამ რომ მოახაზინა.“

ნოდარ ტაბიძე – „გალაკტიონი – მკითხველი“ ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ინესა მერაბიშვილი – „გალაკტიონის ენიგმა“ აკაკი ხინთიბიძე – „მოგონებანი გალაკტიონზე“ გალაკტიონის პირადი წერილი

ნოდარ ტაბიძე – „გალაკტიონი – მკითხველი“ ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ინესა მერაბიშვილი – „გალაკტიონის ენიგმა“ აკაკი ხინთიბიძე – „მოგონებანი გალაკტიონზე“ გალაკტიონის პირადი წერილი

ნოდარ ტაბიძე – „გალაკტიონი – მკითხველი“ ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ინესა მერაბიშვილი – „გალაკტიონის ენიგმა“ აკაკი ხინთიბიძე – „მოგონებანი გალაკტიონზე“ გალაკტიონის პირადი წერილი

ნოდარ ტაბიძე – „გალაკტიონი – მკითხველი“ ნოდარ ტაბიძის ჩანაწერი ინესა მერაბიშვილი – „გალაკტიონის ენიგმა“ აკაკი ხინთიბიძე – „მოგონებანი გალაკტიონზე“ გალაკტიონის პირადი წერილი

კონცერტი

კონცერტი მომავალ პროფესიონალებთან ერთად

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენს უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობა შექმნილი შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული სტუდენტებისთვის. უკვე მეოთხე

მსმენელის მონონება დაიმსახურა. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის კონც-

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების: ანა არაბიძის, შორენა კოჭლამაზაშვილის, მარიამ მეტრეველის, ნინო მჭედლიძის, გურამ ნავროზაშვილის, ქეთევან რამიშვილის, თამარ ჯაბაურის, მარიამ ჯიანის, დავით ჯიმშელიშვილის მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა დიდი მონონება დაიმსახურა, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მომავალ პროფესიონალებთან ერთად წარდგენენ მსმენელის წინაშე.

კონცერტის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი, ბატონი რეზო კიკნაძე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ზურაბ ვადაჭკორია, ასევე სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელები.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატებულ გამოსვლაში დიდად თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების ხელმძღვანელის, გოდერძი ჩიტაიშვილის, წვლილი, რომელმაც თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ხელშეწყობისთვის და სტუდენტებს მუსიკის განსაკუთრებული სიყვარულისთვის.

აღსანიშნავია, რომ კონცერტში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები კონსერვატორიის მიწვევით ჩართვნი და დასასრულ, ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის მეგობრობის მემორანდუმი გაფორმდა. დაგეგმილი ანალიზი კონცერტის ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარება, სადაც კონსერვატორიის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.



წელია ფუნქციონებს თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილება, სადაც მუსიკით დაინტერესებული სტუდენტები გაერთიანდნენ და უკვე რამდენიმე კონცერტზე გამართეს, რომელმაც

ერთი - კონსერვატორიისა და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების შესრულებით აჟღერდა შოპენის, ბელინის, ჯოპლინის, კაჩინის, სკრიაბინის, ფალიაშვილის, ლალიძის, აზარაშვილის უკვდავი მემორიალები.

ლოცუნი

მე-7 გვერდიდან

ნოვალისი ერთგან წერს: „მუსიკა გრძობების სტენოგრაფიაა“. ასევე პოეზია, მით უმეტეს, - ქართული პოეზია, რომელიც შთაგონების და ემოციის ცეცხლში წვავს მკითხველს. სასიხარულო და მისასალმებელია, რომ „სამედიცინო ვაზეთი“ შემოქმედ სტუდენტებს საზოგადოების წინაშე წარმოჩენის საშუალებას აძლევს. ამჟამად ერთი მათგანი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - ლიკა რობიჭაშვილი - მინდა წარმოგიდგინო.



ლიკა, სწავლასთან ერთად, შემოქმედებითი ცხოვრებითაცაა დაკავებული. წარმატებები მინდა ვუსურვო ახალგაზრდა შემოქმედს, პოეტური ცეცხლი არ განელეოდეს და მუდამ მდგარიყოს იქ, სადაც პოეზიის ცეცხლი და ქარიშხალია...

*** ისევ უშენოდ მოვიდა თოვლი, სიცარიელე აატირა ირველი ფიქვები, ზამთრის სიცივეს გადაურჩა ციციქა ბელორა, მარტო დარჩენილს მომეძალა შენზე ფიქრები. წლები გავიდა, რამდენ თოვას გაუძლო გულმა, ცრემლორეული ისევ შენთვის „გაეზაფხულდები“ და თუ დამცალდა შენი ნახვა, ჩემი ძვირფასო, ისევ მოვალ და საშუალოდ ჩაგესუტები. *** თითქოს სიზმარში მოვიდა თოვლი, თუთი ფიქვებით ივსება ქუჩა; მე შეშინა შენი დაკარგვის, ვიკავებ სუნთქვას და თვალებს ვსუტავ.

არ დანებდება უშუალო ფიქვი, ისევ შიშვეს მიწას ცოდვიანს. მე ამ მიწაზე მიწვეს ცხოვრება, ისევ გავეყვები ქუჩებს თოვლიანს... შენ რომ არ მყავდე, ფიქვებთან ერთად მომიხდებოდა სადაც გაქრობა, მაგრამ მაგ თვალზე ვერ მოვლოდები თუ არ შექნება მისგან თანხმობა. ისე ძვირფასი აღმოჩნდა ჩემთვის, ბედნიერება შენით ვისწავლე, შენს თბილ გულთან რომ მომიხდა ყოფნა, ბედნიერების მაშინ ვიწაე. რას ვიზამ, ისე კარგი თუ არ ვარ და ზოგჯერ, თუნდაც, ცრემლი გადინე... მე ამას შენზე მეტად გვიყვარს, მაპატიე თუ გული გატკივნი!

მოსკოხნარი

ნუგზარ გოგოხია



გმული ნაბიჯი ყოფილიყო ნაკარნახევი სიყვარულით. გამოვიდა თუ არა - ეს თქვენი გადასწყვეტია. სიყვარულით - ნუგზარ გოგოხია. აქ მთავრდება მისი უკანასკნელი წერილი.

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი, მედიცინის დოქტორი ნუგზარ გოგოხია.

ნუგზარ გოგოხია დაიბადა 1945 წელს გალში. 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის №2 საშუალო სკოლა, 1968 წელს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა დაინო თერაპიის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-მუშაკად; მოსკოვის კარდიოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დასრულების შემდეგ, 1980 წელს, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კარდიოლოგიის განხრით; შემდეგ დაუბრუნდა თერაპიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტს, როგორც უფროსი მეცნიერ-მუშაკი და კარდიოლოგი; 1986-2000 წლებში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 2000 წლიდან ბატონი ნუგზარ ჩაერთო დიპლომის შემდგომ სამედიცინო განათლებაში, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სამედიცინო განათლების ფაკულტეტის დეკანის, ხოლო 2004-2006 წლებში - უწყვეტი პროფესიული განვითარების განყოფილების გამგის სტატუსით.

2006 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან გაერთიანების შემდეგ, ნუგზარ გოგოხია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომ სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობდა.

„...მივიღეარ ბედნიერი, იმიტომ, რომ თითქმის ყველაფერში, ასე თუ ისე, გამიმართლა.“ - წერს ბატონი ნუგზარი ახლობლებს გამოსამშვიდობებელ წერილში. ამ ეტაპისთვის მან უკვე იცის თავისი დიაგნოზი, პროგნოზი და გამოსავალი; „ვეცილობდი, რომ ყოველი ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვა, ყოველი ჩემ მიერ გადად-

თამამად და თავისუფლად შეგვიძლია გიპასუხოთ, რომ გამოვივიდათ, ბატონო ნუგზარ!... ძნელია მასზე წარსულ დროში საუბარი, ჯერ მხოლოდ ორმოცი დღე გავიდა... განათლებული, ინტელიგენტი, პროფესიონალი, სანაქებო მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული მეგობარი, უმცროსი კოლეგებისთვის მაგალითის მიმცემი, აკადემიური და უშუალო, პასუხისმგებლობის უდიდესი გრძობით აღსავსე, კაცთმოყვარე, პატრიოტი კაცი დააკლდა საქართველოს... დიდ ტკივილს ატარებდა ბატონი ნუგზარი, წლების განმავლობაში მას აფხაზეთი სტკიოდა... ბევრს მითქმელია მისი ბიოგრაფია - უღალატო, სამაგალითო ადამიანი და პროფესიონალი - ასეთად დარჩება მისი სახელი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების და მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების გულში. ზეციური სასუფეველი დამკვიდრებულს!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომის შემდგომ სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი

სპორტი

სტუდენტური ჩემპიონატი

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კომპანია - „ბილიანის“ მხარდაჭერით, ჩატარდა საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში (ვაჟები, გოგონები), რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების (გოგონათა - 8, ვაჟთა - 10) გუნდები.

კენჭისყრის შედეგად გუნდები დაიყო ორ ქვეჯგუფად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდის ქვეჯგუფში მოხვდნენ: თელავის, სოხუმის, შავი ზღვის, სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტი. მეორე ქვეჯგუფში: საქართველოს ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო, საქართველოს, საავიაციო, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.

ნახევარფინალში გავიდნენ: საქართველოს ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და თელავის უნივერსიტეტი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ტექნიკური და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, რომელმაც 2013 წლის სტუდენტური ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა თელავის უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვაჟთა ნაკრები მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებს. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა, საბოლოოდ, ჩვენ-

მა ნაკრებმა, მეტოქე დამარცხა ანგარიშით - 3:1 და საპატიო მესამე ადგილი დაიმსახურა. რაც შეეხება გოგონათა ნაკრებ გუნდს, მან აღნიშნულ შეჯიბრში მე-4 ადგილი დაიკავა. გასახარია, მომავალი მედიკოსები-

დღიებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა 13 უმაღლესი სასწავლებლის (გოგონა - 6, ვაჟი - 28) სტუდენტები. უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტ ბატონი იეჟიშვილის წარმატება, რომელმაც მესამე ადგილი დაიმსახურა.



ის წარმატება, ღირსეულ ორთაბრძოლაში მათ ტოლი არ დაუდეს მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს. ამ გამარჯვებაში სპორტისა და ხელოვნების ცენტრის მასწავლებელთა ნვლილი განუსაზღვრელია. განსაკუთრებით, ქალბატონ ზოია ცაგარელისა, რომელიც ძალასა და ენერჯის არ იშურებდა, ჩემპიონატისთვის, მონდომებით და ენთუზიაზმით არჩევდა ქართული და უცხოენოვანი ფაკულტეტების სპორტსმენ სტუდენტებს და შედეგამაც არ დააყოვნა - მისმა ვაკვეთილებმა წარმატება მოუტანა გუნდს.

ვაჟების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტსმენები. მე-2 საპატიო ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა, გიორგი კორძაიამ. საპრიზო ადგილზე გასული სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებით და მედლებით.

რუსუდან ბურსულია, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი